„დამტკიცებულია“
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის
2020 წლის 16 დეკემბრის № 36 - ბრძანებით

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის სათათბირო ორგანოს – ხაზინადართა საბჭოს დებულება

თავი I
ზოგადი დებულებანი

მუხლი 1

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის სათათბირო ორგანოს – ხაზინადართა საბჭოს (შემდგომ – ხაზინადართა საბჭოს) შექმნის მიზანია უმაღლესი საბჭოს საფინანსო საქმიანობის კონტროლი.
2. ხაზინადართა საბჭო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით, სხვა ნორმატიული აქტებით, ამ დებულებითა და უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის სხვა აქტებით.
3. ხაზინადართა საბჭო ანგარიშვალდებულია უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის წინაშე.

თავი II
ხაზინადართა საბჭოს
ამოცანები და უფლება - მოვალეობები

მუხლი 2

1. ხაზინადართა საბჭოს ამოცანებია:
ა) უმაღლესი საბჭოს საფინანსო - საბიუჯეტო პოლიტიკის ჩამოყალიბების, უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტის პროექტის შედგენის, ბიუჯეტის დაცვის, ბიუჯეტის ხარჯვის სტრატეგიის ჩამოყალიბების შესახებ წინადადებების მომზადება;
ბ) უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტის ხარჯვის კონტროლი და ხარჯების ანალიზი უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ინფორმირების მიზნით.
2. ხაზინადართა საბჭოს უფლება აქვს:
ა) მოითხოვოს და მიიღოს უმაღლესი საბჭოს აპარატისაგან ინფორმაცია სახსრების ხარჯვის შესახებ;
ბ) მოითხოვოს უმაღლესი საბჭოს კომიტეტებისა და უმაღლესი საბჭოს აპარატისაგან ინფორმაცია ბიუჯეტის პროექტის ფორმირების და განხილვის საკითხებზე;
გ) განიხილოს უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტის პროექტი და შეიმუშაოს წინადადებები.
3. ხაზინადართა საბჭოს მოვალეობაა:
ა) უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტის პროექტის ფორმირებაში მონაწილეობა და ამ მიზნით წინადადებების მომზადება;
ბ) უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტის ხარჯების პრიორიტეტების განსაზღვრის მიზნით წინადადებების შემუშავება;
გ) უმაღლესი საბჭოს მიერ ან მისი სახელით დასადები ხელშეკრულების ან სამეურნეო საკითხზე წინადადების განხილვა, რომლით გათვალისწინებული ხარჯი 3000 ლარს აღემატება და შესაბამისი დასკვნის მომზადება;
დ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით უმაღლეს საბჭოსათვის გამოყოფილი სახსრების განაწილების თაობაზე წინადადებების მომზადება;

ე) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით„ განსაზღვრული უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტის შესრულების, მისი ხარჯვის მიზნობრიობის, კანონიერებისა და სახსრების გამოყენების ეფექტიანობის კონტროლი, ანალიზი და უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის სისტემატური ინფორმირება.
ვ) კანონმდებლობის შესაბამისად შეიმუშავებს და წარუდგენს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს რეკომენდაციებს უმაღლესი საბჭოს წევრისა და უმაღლესი საბჭოს თანამდებობის პირის თანამდებობრივ სარგოსთან დაკავშირებით.

თავი III
ხაზინადართა საბჭოს შემადგენლობა

მუხლი 3

1. ხაზინადართა საბჭოს წევრთა რაოდენობას განსაზღვრავს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე.
2. ხაზინადართა საბჭოს წევრად შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ უმაღლესი საბჭოს წევრი.
3. ხაზინადართა საბჭოს შემადგენლობას განსაზღვრავს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე უმაღლესი საბჭოს ფრაქციებთან წინასწარი კონსულტაციების საფუძველზე.
4. ხაზინადართა საბჭოს ხელმძღვანელობს ხაზინადართა საბჭოს თავმჯდომარე, რომელსაც ხაზინადართა საბჭოს წევრთაგან ნიშნავს და ათავისუფლებს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე.

თავი IV
ხაზინადართა საბჭოს საქმიანობა

მუხლი 4

1. ხაზინადართა საბჭოს სხდომები იმართება საჭიროებისამებრ, მაგრამ როგორც წესი არანაკლებ თვეში ერთი სხდომისა. ხაზინადართა საბჭოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის უფლება აქვს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს ან ხაზინადართა საბჭოს თავმჯდომარეს თავისი ინიციატივით ან ხაზინადართა საბჭოს უმრავლესობის მოთხოვნით.
2. ხაზინადართა საბჭო უფლებამოსილია, თუ მას ესწრება ხაზინადართა საბჭოს წევრთა ორი მესამედი.
3. ხაზინადართა საბჭოს სხდომაზე გადაწყვეტილება მიიღება საბჭოს წევრთა ხმების უმრავლესობით. განსახილველი საკითხის აქტუალურობიდან ან მისი გადაწყვეტის ვადიდან გამომდინარე, ხაზინადართა საბჭოს თავმჯდომარის ინიციატივის საფუძველზე შესაძლებელია ეს საკითხი ხაზინადართა საბჭოს წევრებთან ელექტრონული ფორმით შეთანხმდეს. ამ შემთხვევაში ხაზინადართა საბჭოს გადაწყვეტილება მიიღება ხაზინადართა საბჭოს წევრთა ელექტრონული ფოსტით გამოკითხვის მეშვეობით.
4. ხაზინადართა საბჭოს გადაწყვეტილებებს უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით დადგენილი წესით, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს უმაღლესი საბჭოს ბიურო.

მუხლი 5

ხაზინადართა საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციულ, დოკუმენტურ და საინფორმაციო უზრუნველყოფას ახორციელებს უმაღლესი საბჭოს აპარატის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული.